ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 224

„8" სექტემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუსი №33-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუსი №33-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.884.1113 განკარგულების დანართი №1 გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუსი №33-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.012.012), ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე მოცემულ პირთათვის გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

| N | დანართ N1 | ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N33 | | |
|---|---|---|---|---|
| | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი | საკადასტრო კოდი |
| 1 | გურანდა ბერძენიშვილი | 46001001875 | 91.13 კვ.მ | 01.14.16.012.012.01.018 |
| 2 | თამარი ხუსკივაძე | 18001004151 | 111.65 კვ.მ | 01.14.16.012.012.02.004 |
| 3 | ლალი ოყუჯავა | 19001010780 | 134.13 კვ.მ | 01.14.16.012.012.01.011 |
| 4 | მელო მამალაძე | 33001023321 | 134.08 კვ.მ | 01.14.16.012.012.01.015 |